სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

10 ოქტომბერი 2025

N 235

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2025-2026 წლის წარმოების დაფინანსება“ წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 ოქტომბრის №224 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 26 ივნისის №05/20 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“, „ეროვნული ფილმის წარმოების კონკურსებისათვის საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) განსაზღვრის მიზნით მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 სექტემბრის №215 ბრძანებისა და ია გიგოლაშვილის 2025 წლის 10 ოქტომბრის №ა2-476 განცხადების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2025-2026 წლის წარმოების დაფინანსება“ წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 ოქტომბრის №224 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. . სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) მიერ 2025 წლის 1 სექტემბრის №189 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების 2025-2026 წლის წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით, შეიქმნას საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობა (ჟიური) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ქეთევან ჯანელიძე** - კინომცოდნე, პროდიუსერი;

ბ) **მიხეილ მრევლიშვილი** - რეჟისორი;

გ) **რამაზ იოსელიანი** - მსახიობი;

დ) **ერეკლე ფანიაშვილი** - რეჟისორი;

ე) **გიორგი ბურჯანაძე** - მსახიობი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

მამუკა ბლიაძე

დირექტორი